№ 136 1 ივლისი, პარასკევი 1866—1879 1 ივლისი, კვირა № 136

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ცალკეთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

მაქვს პატივი განუცხადო თფილისის პატივცემულ ვაჭრებს, რომ მე მოვიტანე პარიჟიდამ ყოველ გვარი საქონლის ნიმუშები, რომლებზედაც ვიღებ ზაკაზებს კარგის პირობებით.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ეს ნიმუშები უ. არწრუნის ქარვასლაში № 181, სადაც იქმნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჟის ფირმა: Gilles et Iohan Chandons.

წარმომადგენელი ზ. იეზოვი.

(12—10)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადღეის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**ხუთი** მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურგი, 27 ივნისს. ხელმწიფე იმპერატორმა 20,000 მანეთი უბოძა თავის საკუთარის ჯიბიდამ ქალაქის ირკუტსკის გადამწვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

ტირნოვო, 26 ივნისს. დღეს მოვიდა აქ ბოლგარიის მთავარი, რომელსაც ადგილობრივი უფროსები მიეგებნენ.

პეტერბურგი, 29 ივნისს. ბუშინ ქალაქს ირკუტსკს ხელ-ახლად წაეკიდა ცეცხლი, რომელიც ყოველის მხრით გავრცელდა. **დაიწვა:** ლუბერნიის პრავლენიე, ხუთი ეკკლესია, ფრანგებისა და ლოტრანგების ეკკლესიები, სობორო, ებრაელების სალოცავი, ტიპოგრაფია, სახაზინო და კონტროლის პალატა, ლუბერნიის სასამართლო, დამოქნა, ქალაქის რჩევა (დუმა), ოლქის სასამართლო, ტელეგრაფი, პოლიციის უპრავლენიები, ფოჩტის კანტორა, ხაზინა, აქციზის სამმართველო, მაზრის შტაბი, ნაობახტი, კლასსიკური გიმნაზია, ტეხნიკური სასწავლებელი, საქალებო გიმნაზია, უეზდის სასწავლებელი, რამდენიმე სამრეველო შკოლა, თავ-შესაფარი სახლი, საინჟინერო და საექიმო გამგეობანი, სამივე ბანკი და სამივე აფთიაქი; კერძო სახლები ნახევარზე მეტი გადაწვა მთელს ქალაქში. რამდენიმე კაცი დაიწვა და ისე დაიხოცა. ბანკის ფულები და ხაზინისა არ დამწვარა, გადაარჩინეს. ცეცხლი ჯერაც ვერ გაუქერიათ.

ვერსალი, 26 ივნისს. დეპუტატების პალატაში ბაასია სახალხო განათლების მინისტრის ფერრის კანონ-პროექტზედ. რადიკალის მადიე-დე-მონქოს წინადადება, რომ სწავლის უფლება ყველა კონგრეგაციებს ჩამოერთვას—ნება-დართული არიან ისინი მთავრობისაგან, თუ არა—კრებამ, 381 ხმის უმეტესობით 78 ხმის წინააღმდეგ, უარ-ჰყო. ფერრი წინააღმდეგი ამ წინადადებისა, რადგან ჩვენ არ უნდა ვაჩვენოთ ქვეყანასაო, ვითომც საზოგადოთ სამღვდელოების წინააღმდეგი ვართო. ეკკლესია ბატონი უნდა იყოსო თავის სახლში, თავის უწყებაში. სახელმწიფოს კი, თავის მხრით, აქვს უფლება დაიცვას თავის თავი სამოქალაქო საქმეებში ეკკლესიის გარეისაგან.

ბრიუსელი, 26 ივნისს. ბრიუსსელის სამოსამართლო პალატის კედელზე ნახეს აკრული ახალი პროკლამაცია, რომელშიაც ბელგიის კოროლს სიკვდილს ექადებიან, თუ იმან მოაწერა ხელი ახალ კანონს სახალხო განათლების შესახებ.

საქართველო

უფოჩტობა

საზოგადო უკმაყოფილება და მუდმივი საჩივარი ისმის თითქმის ყველგან ჩვენში, და განსაკუთრებით უეზდებიდამ, რომ უფოჩტობისაგან შეეიწროებული ვართო, ზოგან სულ არ მოდის ფოჩტაო და სადაც მოდის, იქაც კვირაში ერთხელ და უფრო ხშირად ურიგოთ, წიგნები, გაზეთები და ჟურნალები იკარგებაო და სხვ.

ეს საჩივრები და უკმაყოფილება ყველაზე უფრო ხშირად ჩვენ, რედაქციებს, მოგვედის, თუმცა ღმერთმა ხომ იცის, რომ ამაში ჩვენ არავითარი დანაშაულობა არა გვაქვს. **რომელსამე** მიყრუებულს უეზდის ქალაქში, სადაც, როგორც იტყვიან, ცოცხალი ადამიანი არ იპოება, რომ დაელაპარაკოს, გვიგზავნიან ფულს და იბარებენ გაზეთს. ჩვენც ფოჩტის დღეებში ვაბარებთ ამათ სახელობაზე; მაგრამ, ენახოთ, ერთის კვირის შემდეგ მოგვედის საჩივარი და საყვედური, რომ ესა-და-ეს „ნომერი თქვენის პატიეცემულის გაზეთისა არ მიგვეღია, საზოგადოთ გაზეთი ან სულ არ მოგვედის, ან თუ მოგვედის, ვადაზე გადაცილებით და ისიც დაჭმუჭნული და დახეულია.“

ყველა აქაურ რედაქციებში ხშირია ამგვარი საჩივარი; ყველა გაზეთებში ბეჭდვით გამოცხადებულა ეს საჩივარი, მაგრამ ფოჩტის გამგეობა ამ კანონიერი საჩივარის დაკმაყოფილებისათვის სრულებით თავს არ იწუხებს.

მომეტებულ ნაწილს საქართველოს ადგილებში, გარდა იმ ქალაქ-დაბებისა, რომელნიც რკინის გზაზე მდებარებენ, კვირაში მხოლოთ ორჯელ და სამჯერ მიდის ფოჩტა. მაგალითად; მთელ ქახეთში და ზურიაში ფოჩტა კვირაში ორჯერ მიდის; თუმცა ახალ-სენაკის რკინის გზის სტანციიდამ შუა სამეგრელოსკენ—ზუგდიდისაკენ მუდამ დღე დაიარება დილიჟანსები, მაგრამ ფოჩტას კი კვირაში მხოლოდ ორჯერ გზავნიან. მთელი რაჭის უეზდი, სადაც იმყოფება მომრიგებელი სასამართლო, უეზდის უპრავლენიე, ორკლასიანი შკოლა და რამდენიმე სოფლის შკოლა, სრულებით მოკლებულია ფოჩტას, სრულებით მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანასთან; უეზდის უპრავლენიეს ჰყავს ერთი ჩაფარი, რომელიც კვირაში ერთხელ მიდის ჭუთაისის ფოჩტის კანტორაში მხოლოთ იმ ქალალდების წასალებად, ლომელიც ამ უპრავლენიის სახელობაზე არის გაგზავნილი. რაჭის დანარჩენ მცხოვრებლების სახელობაზე მიღებულს გაზეთებს, ჟურნალებსა და წიგნებს თუ უნდა, თუ რამ აჩუქეს, წაიღებს და თუ არა, თავს არ შეიწუხებს.

მგონია დრო არის, რომ ფოჩტის გამგეობამ და ჩვენმა უმაღლესმა მთავრობამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მოაქციონ. **რაც** ამ ოცი წლის წინათ იყო, ის აღარ არის დღეს ჩვენი ცხოვრება: მუდამ დღე მატულობს ჩვენს

ქვეყანაში ეაჭრობა და წარმოება, მუდამ დღე მრავლდებიან შკოლები, მრავლდება წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, რომელთაც ჰსურსთ ქვეყნის ამბავი შეიტყონ, ერთი-ორად უფრო ხშირია ახლა სხვა და სხვა მაზრების ხალხის ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და კავშირი. ამას გარდა თვით მმართებლობისთვისაც აუცილებელად საჭიროა რიგიანად გამართული ფოჩტის გზა და კორრესპონდენცია.

ყველა ამ მოთხოვნილებას დაკმაყოფილება ეჭირება.

და ამ დაკმაყოფილებისთვის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ხაზინა თავის ფულს არ წაადებს, საცა საჭიროა, ყველგან რომ ფოჩტის ტროიკები იყოლიოს და ფოჩტის პატარა კანტორები ვახსნას. არავინ არ დაემდურება ხაზინას ტროიკათ წაყვანისათვის ვერსზე და ცხენზე, სამი კაპეიკის მაგიერად, რო ოთხი ხუთი გადაახდევინოს მოგზაურს; არავინ არ დაემდურება, რო უბრალო წიგნის გაგზავნისათვის, შვიდი კაპეიკის მაგიერად, რვა-ცხრა-ათი კაპეიკიც რომ გადაახდევინოს; არც რედაქციები და არც ხელის-მომწერლები არ დაემდურებიან ხაზინას, რომ ამ ახლა უფოჩტო ადგილებში თითო ეგზემპლიარის გაზეთის გასაგზავნი ორი იმდენიც რომ გადაახდევინოს, რამდენსაც ახლა იხდიან. ოღონდ კი იყოს ფოჩტა, ოღონდ კი შეიძლებოდეს ფოჩტით დროზე და რიგიანად წიგნებისა და გაზეთების მიღება და მომეტებულ ხარჯს, უეჭველია, არავინ არ დაზოგავს.

მაგრამ მეორე უბედურებაც კიდევ ეს არის, რომ ზოგან ფოჩტაც გამართულია, მაგრამ ჩინოვნიკები ისეთები არიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ საზოგადოება იმათთვის არის გაჩენილი და არა ისინი საზოგადოებისათვის; რომელნიც იმათ კანტორაში მიღებულ გაზეთებსა და ჟურნალებს ჯერ თითონ ჰკითხულობენ, ან თავის მეგობრებსა და ნაცნობებს აძლევენ, სხვის სახელეობა ზედაც რომ იყოს, და მერმე დახულგაჭუჭყიანებულ ეგზემპლიარს აძლევენ პატრონებს, ხანდისხან კი სულაც აღარ უბრუნებენ, ეუბნებიან: არ მოსულაო.

ამნაირად, ფოჩტის მოქმედების გავრცელება, კანტორების დაწესება იმ ადგილებში, საცა არ არის ჯერ დაწესებული, ამ კანტორების გამგებლებად უფრო რიგიანი და კეთილ-სინდისიანი კაცების დაყენება და საზოგადოთ ფოჩტის გამგეობის გაუმჯობესობა აუცილებელს და როგორც მთავრობისათვის, ისე თვით ხალხისთვის სასარგებლო საჭიროებას შეადგენს.

ეს არის საზოგადო მოთხოვნილება და საჭიროება; ამის დაკმაყოფილება, ვიმეორებთ, ყველასთვის სასარგებლო და სასურველია. და ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლანდელი ფოჩტის უმთავრესი გამგეობა მიაქცევს ამ საგანს ყურადღებასა...

ს. მ.

ДЛИУРИ

*** ზახშირებულის წვიმების შემდეგ ცხელის დღეები დადგა ქალაქში ასე, რომ ვისაც კი შეუძლიან და არა, ყველა სოფლად და აგარებში მიმეფარებიან. თუ დიდ ხანს გასტანა კიდევ ამისთანა სიცხეებმა და უწვიმობამ, ეს გვაღელვა, უეჭველია, ძალიან შეაწუხებს ყველას, ვინც იძულებულია ქალაქში დარჩეს, და დიდ სიკეთეს არც ნამუშევარს დააყრის განსაკუთრებით იქ, საცა სარწყავი ყანები არა აქვთ.

*** ქახეთიდამ გვწერენ, რომ პურისა და ქერის მკა უკვე დაიწყეს ჩვენის მხრის-კენაო; ალაზნის ნაპირებზე, ღვთით, ყველგან კარგი მოსავალი მოვიდაო.

ვაზი წელს თითქმის არსად არ გაფუჭებულაო; მხოლოდ თელავის უეზდის ორ-სამ სოფელში გაჩნდა წვიმების შემდეგ ნაცარიო; მაგრამ ნახევარიც რომ გაფუჭოს, სამყოფი მაინც კიდევ დაგრჩება ღვინოო.

ხილის მოსავალი განსაკუთრებით ქიზიყისაკენ ყოფილა წელს კარგიო.

*** სოღანლის მაზრიდამ იწერებიან „თფ. მოამბეში“, რომ წელა აქეთკენ ძალიან ნაკლებად მოვიდა თამბაქოო და რაც მოვა, არც ია იქნება ისეთი კარგი, როგორც წინა წლებში იყოო.

ამის მიზეზი ია მოჰკვანთ, რომ ეაჭრებმა პირი მისცეს ერთმანეთს და თამბაქოს ფასი თითქმის ვაანახევრესო, ამის გამო წელს ქახეთისაკენ ძალიან ცოტა თამბაქო დასთესესო, რადგან სარკებელს ველარ ხედვენო, და რაც დათესეს, ხეირიანად არც იმას უკვლებენ ყურსაო.

ფელეტონი

ისტორიის მასალა

(ბაგრძელება *)

მერმე მაჰმადი მივიდა მექქეს და უამბა ცოლს თავის თავს-გარდასავალი. ყველაზედ უწინ თავის ცოლი ხატს დაერწმუნა; მერმე თავის მოყვრები: ოსმანი, ალია და აბუბექირი დაერწმუნნენ.

ამასობით შეიკრიბა მრავალი მოწაფები, რომლების ხელთ იყო მისი სიმდიდრე; გამოდიოდნენ ქალაქის მეიდნებზედ და უქადაგებდნენ ცხარედ თავიანთ რესულის (მოციქულის) სასწაულებსა. ამბობდნენ: ხეები წინ ემარიებიან მოწიწებითა, ქვეები სალამს აძლევენ, სადაც თითს შეახებს, წყაროები ამოდიან, მთვარეც გაახლებისა ჩამოსულა და ულაპარაკნიაო, პერანგის ერთი სახელოთგან შესვლია და მეორე სახელოთგან გასულაო, (მართლა სამთვარეო სჭირდა); ამასაც უმატებდნენ, ზეცას აჭრილა თავის სხეულით, ანგელოზები უნახია და ღვთის საყდარს მიჰკარებიაო.

ეს და ამისთანა ზღაპრები მრავალი არის მაჰმადიანების ჰადის (სვინნა) წოდებულს წიგნებში.

თავის განაყოფებმა რომ შეხედეს მაჰმადის მოქმედებასა, დაუწყეს მტყუნება ბევრგან და დევნა, როგორც გვარის მომქიქს გამაუპატიურებელსა; მაგრამ მაჰმადმა ყურიც არ შეიბერტყა იმათი ლანძღვისაგან: გადიოდა მექქის დიდ მეიდანზედ და ჰქადაგობდა კერპთ-მსახურების მოსპობაზედა..

ერთ დღეს ჩრდილოდ სერობაზედ მდგომმა დაინახა ათრაფის მოქალაქენი მიმავალნი ძაბას მოსალოცავად; გადუდგა წინ და ისე ცხარედ ქადაგება დაუწყო, რომ მაშინვე მოვიდნენ მის სჯულზედ ექვსნიენი; ესენი რომ ენაპიროსანი კაცნი იყვნენ, ათრაფის ქალაქში ბევრი მდიდრები მოაქციეს მაჰმადიანობაზედ, იქამდის, რომ დიდის პატივის ცემით მიიწვიეს შემდგომ მაჰმადი თავიანთ ქალაქში; მით ათრაფეს ეწოდა „მედინათ-ილ-ნები“, ე. ი. ქალაქი წინასწარმეტყველისა.

ერთხელაც, როცა მექქეში მოვიდა მოწაფეების შესაკრებლად, მისმა განაყოფებმა მოისყიდეს იასაულები, რომ მაჰმადისათვის თავი მოეჭრათ და მიეტანათ იმათთვის; მაგრამ წინადვე ვიცოლამ აცნობა და გაიქცა; ამას უძახიან ჰიჯრათს (გაქცევას). აქეთგან იწყობა მაჰმადიანების თარიღი, ქრისტეს 622 წ. მკათათვის 16. მდევართ, რომ ველარ გაასწრო თარიის მთის ქვაბში შეძვრა; მივიდნენ იქაც, ნახეს, რომ ქვაბი ამოქოლილი იყო, მაღლა ტრედები კვერცხებზედ ეკვრნენ და ქვემოდ ბოჭოჭუების აბლაბუდა გაბმული იყო; იფიქრეს, თუ აქ შესულიყოს ტრედები კვერცხებს დაამტვრევდნენ და ეს აბლაბუდაც მოშლილი იქნებაო; ამით მოურჩა მაჰმადი მდევართ. სამ დღეს დაშთა და მერმე მედინას გადვიდა. ამ სამი დღისთვის ოც-და-ათი დღე შეუკვეთეს მისმა მოწაფეებმა, რომელსაც რამაზანი ჰქვიან.

დახედა მაჰმადმა, რომ იმდენად სიტყვა არ გაუდის, უქადაგა თავის მორჯულეთა: მოსეს სჯულის წინასწარმეტყველებმა იქადაგეს ნა-ნაირად; ქრისტეს მოაქცია ქვეყანა ტკბილობითა; ჩვენი ხერხი და ტკბილობა რომ არ გავიდა, რიგია ახლა ხმლით და ძალადობით უნდა ჰმოვაქციოთო;—და მართლად ხელი მიყო საჭურველს იარაღსა: ალია და ოსმარი მხედარ მთავრად დაადგინა, ჯერ მედინა აიღო საშინელი ომ-ბრძოლით, მერმე მექქე; კერპთ-მსახურები დაიმონა და ხიარაიდს ურიები დაამარცხა. დად მეედანზედ მედინას ცოცხალ-ცოცხალი 700 ურია დაამარხვინა. იქამდის უწყალოდ ეპყრობოდა ქვეყანას, რომ მაჰმადიან დედა-კაცებს მკვდრების ცხვირ-პირის და ყურის ხაჭრებს ყელსაბამი ეკიდათ გულზედ.

ყველაზედ მომეტებული წარმატება მისცეს მ.ჰმადს თავის განაყოფების მოქცევამ ხალიდმა, აბრუმ და ოსმანმა. დიდი სისხლის ღვარი ააყენეს მედინაშა

*) „დროება“, № 128.

*** ზემოხსენებულიე გაზეთის სიტყვით, პატარძეულის ტყეში, თფილისიდამ 35 ვერსზე, აღმოჩენილა ლიგნიტი (ერთნაირი მაგარი ქვა-ნახშირი). ეს ქვა-ნახშირის მადანი ჯერ გამოკვლეული არ არისო.

*** ქუთაისის სატუსაღო ციხის მდგომარეობაზედ მოგვივიდა შემდეგი ამბავი:

„ციხეების კედლები, როგორც იყო, შელესეს. ტუსაღები თხოულობენ, რომ ეს კაცზე 25 გირვანქა ხორცის მაგიერად, თითოეულ ტუსაღს დღეში ნახევარი გირვანქა გაუჩინონ და მაგიერად ლობიოს მოუკლონ, ნახევარი გირვანქის მაგიერად მეოთხედი გირვანქა მისცენ. ხორცი ახლა კარგი ეძლევათ, მაგრამ ერთობ ცოტაა: ასს კაცს 25 გირვანქა რას უქმ, როდესაც მოხარშვის შემდეგ რვა-ცხრა გირვანქა იკარგება, ახლა ძველები,—ასე რომ ასს ტუსაღზე სულ ბევრი თორმეტი-თხუთმეტი გირვანქა ხორცი მოდის!

„ამ წლის იანვრიდამ ამ თვემდინ ქომიტეტს მორჩა ტუსაღების ხარჯიდამ ექვსას მანეთზე მეტი ეკონომია. მაშასადამე ცოტა ხარჯის მოშატება ურიგო არ იქნება“.

*** სართაჭალის უჩასკიდამ იწერებიან „თფ. მოამბეში“, რომ მინდვრის თაგვებმა ძლიან ბევრი ყანები გააფუჭეს აქეთკენო და ხალხს ამის წინააღმდეგ ვერაფერი ღონის-ძიება ვერ მოუნახავსო.

„დროების“ კორესპონდენცია

დ. ხონი, 24 ივნისს. ღანირის საზოგადოების სოფლის ქუტირის მცხოვრები გლეხი ოქროპირ რუხაძე ამ ივნისის 11-ს, ორშაბათს დილით, წასულა სამუშაოთ თავის ყანაში. სადილათ წაუღია ერთი პატარა შემწვარი ტარანი და ერთი ნაჭერი მჭადი.

საუბედუროთ, ამ შემწვარ ტარანს, უწყენია და კისერი გასივებია. საღამოს როცა სახლში მოსულა, კისრის ტკივილი ცოლისთვის უთქვამს.

მეორე დღეს დილით, როგორც მოგეხსენებათ სოფლის გარემოება, ქალები წასულან მკითხავთან გამოსაძიებლად თუ რა ფიცით, ან რა შესაწირის დაკლებით და ან სხვა რა მიზეზით აუტყდა მას ეს სიმსივნე და ტკივილიო. რამოდენიმე საათის შემდეგ, რადგან ახლოს ყავდათ მკითხავი, შეეტყოთ ნამდვილი (?) ძიზეზი სნეულებისა მკითხავიდგან და შემოვიდნენ სახლში ამ სიტყვებით:

— აბა, ბატონებო, მოგვეხმარეთ, გეშოვეთ სადმე სხვა მეგვარისაგან ერთი ხარი და ერთი ცხენი!

— რათ გინდათ ცხენი და ხარი? ვკითხეთ ჩვენ.

— რათ გვინდა, ბატონო, და ჩვენმა მარჩიელმა ხათუნამ—ქაპზინაძის ცოლმა გაშალა სამარჩიელო ქალალდი და ამოვიდა,—„ვილაცა სხვა მეგვარიდგან გარდაცემული ყოფილა ერთ ხარზედ და ერთ ცხენზედო და საბამ სხვა მეგვარის ხარს და ცხენს თავზედ არ შემოუვლებთო, მანამ მაგისი მორჩენა გასაჭირდებაო, და როცა ამას შეასრულებთ, მერმე წამალსაც კარგს მოგცემთ და უსათუოთ მორჩებაო...“

ეს მკითხავისაგან დარიგება მეზობლებმა როგორც იყო აასრულეს: იშოვეს სხვა მეგვარიდგან ცხენი და ხარი და კიდეეაც შემოავლეს თავზედ. იმავე დღეს მკითხავი თვითონაც დაიბარეს და მობრძანდა და რაც შეიძლებოდა თავის ბალახის წამლები ბევრი ასვა გაჭირვებულ ავათმყოფს..

მათავდა მეორე ღღე, სნეულს რაც მოუმატა ტკივილმა, თორემ დატკბობის არა ეტყობოდა-რა. ამ დროსერთი ხონის ეკონომაგანი პ. რ—ძე მოვიდა სანახავად სნეულისა და რა ნახა, რომ საცოდავი ავათმყოფი მოუელელობისაგან სწუხდა, უთხრა ავათმყოფის მოკეთეებს: „თუ ნებას მომცემთ, ხონში წავალ და დოქტორს ან ფელდშერს მოვიყვან; ვიზიტის ქირას წამლების ფასს, რასაც წაიღებს, მე მივცემ, ოღონდ ეს საცოდავი ნე მოკვდება ასე უბრალო კისრის სიმსივნითო.“

მაგრამ სახლში შეიქმნა ერთი ხრიალი—ნუ მოიყვანს დოხტორსო, დოქტორმა მაგისთანა სოფლის გარდაცემულების ან ფიცის ნაწყვნის წამლობა რა იცისო, ჩვენ ვინც ის შეგვატყობინა, რომ გარდაცემული ყოფილა ერთ ცხენზედ და ხარზედო, ის მოგვირჩენს ძაგასო! და ნება არ მისცეს დოქტორის ოყვანისა.

და მექქეში, სადაც ხალიდმა მაჰმადის წინააღმდეგი მთელი მცხოვრები ხმალ ქვეშ გაავლო და ქაბბაში 300 კერპი ჩამოყარა შეამუსვრინა.

ერთი მხრით რომ ასე უწყალოებით ავრცელებდა თავის სჯულსა, მეორე მხრით ელჩებს უგზავნიდა ხელმწიფეებს. პარსის ხელმწიფე ხოსრომ ლანძვით დაბია მაჰმადის წერილი. ბერძნების კეისარმა მრეკლემ კი პატივის ცემით მიიღო მისი წერილი და ელჩები ძღვენ-ნიჭებით გაისტუმრა. მაჰმადს არ დასცალდა წუთის ქვეყნის დამშვენება ისე, როგორც სხვათ უქადდა: მისცა ერთმა ურიის ცოლმა საწამლავი, დაჭლექდა და მოკვდა 632 წელს.

მაჰმადიანები ასე ამბობენ თავიანთ რესულის სიკვდილსა: „როცა დახედა თავის თავს, რომ უკან-უკან მიდიოდა, თავის ნაცვალობა თავის სიმამრს აბუბექირს მიანდო; მას უნდა ეღოცა მისი ჯამაჰათი მის მერმედ. მიზგითში უკანასკნელი მისი სიტყვები ეს იყო: „თუ რომ მე თქვენგანის ვისმესთვის ჯოხი გარდმირტყია, აგერ არგანი მოვიდეს, ერთისთვის ათი გარდამარტყას; თუ რომ ვისმეს ვალი ამილია, აგერ ქესა მიმიცია, რაერთიც უნდა აიღოსო“. ქრებაში თურმე ერთმა დაიძახა, სამი დრაჰკანი ჰმართებს ჩემია; მაშინვე, ამოიღეს მისცესო. როცა სახლში მივიდა, სულის ამრთმევი აზრაილ ანგელოზი კარს მიადგა, დაურეკა კარი, სთხოვა ნება შინ შესვლისა და მაჰმადმაც მაშინვე ჩაუპარა თავის სული ხელთაო.“

ამ ახირებულ მხიბლავ კაცს ისეთი გავლენა ჰქონდა იმ ბარბაროს ხალხზედ, რომ დიდ ხანს მრავალთ არა სჯეროდათ მისი სიკვდილი.

ყურანის შინაარსი და საწამებელი ესარის

ერთი ღმერთი არის ქვეყანაზედ; ექვსი წინასწარმეტყველი მოსულ არს: ადამი, ნოე, აბრაამი, მოსე, იესო და მაჰმადი. იესო აღთქმული მესია არის სიტყვა და სული ღვთისა, მოკიქული და წინასწარმეტყველი შობილი ქალწულის მარიამისაგან. მაჰმადიც ღვთის წინასწარმეტყველია. უნდა ვიცოდეთ ღვთის სიმართლე, სულის უკვდავება, მკვდრეთით აღდგომა, ღმერთი ცოდვილებს დასჯის და მართალთ მისცემს დიდება სიხარულსა სამოთხეში, სადაც ყოველ ნაირი სიამოვნება და დროს გატარება შეუძლია ყველასა; ჯოჯოხეთი ცოდვილებისთვის არის შვიდ ხაროდ გაყოფილი: ა) მაჰმადიანი ცოდვილებისთვის არის, ბ) სჯულის მგმობელებისთვის, გ) ქრისტიანებისთვის, დ) ურიებისთვი; ამ ოთხ ხაროში სატანჯველი არა აქვთ-რა; ე) ჯინდრებისთვის არის, ვ) კერპთ-მსახურებისთვის, ზ) მოჩენებული სარწმუნოების მქონეთათვის; ამათი სატანჯველი ყველაზედ მომეტებულიაო. ვისაც სამოთხეში წასვლა ჰსურს, დღეში რამდენჯერ ალაჰ-ალაჰ ეტყვის, ხუთჯერ ილოცოს, ოცჯერ ალაჰ-ალაჰ ეტყვის, ოცჯერ ალაჰ-ალაჰ ეტყვის, ოცჯერ ალაჰ-ალაჰ ეტყვის

ბავიდა მესამე დღეც, სნეულს მოუმატა სიმსივნემ და ბოლოს, საღამოს, დასტოვა საბრალომ წუთის სოფელი..

აი ასე აშკარად, ასე ცხადათ, მკითხავის წყალობით, მოკვდა კაცი. რიგი იყო ამ საქმეში ექმნა კანონიერი განკარგულება ადგილობრივ მამასახლის და რაიმე საშუალება მოეხდინა; მაგრამ ჩვენი ძამასახლისები მაგისთანა საქმეებს როდი უგდებენ ყურს, მხოლოთ იმას უმზერენ და ფიქრობენ მარად იმაზე, რომ ვის რამდენი ქრთამი გამოვართვეთო და ვის რომელი საქმე როგორ გაუკეთოთ და ან წაუხდინოთო...

მოსე ქაკაბაძე.

წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

მოგეხსენებათ, რომ ამას წინეთ იყო საქმე დაწყებული ქუთაისის ოკრუჟნის სუდში შესახებ იოსებ მოდებაძის პატარა ქალის ურიებისაგან ვითომ მოტაცებისა და წვალებისა. რადგან ის საქმე არ დამტკიცდა ურიებზე, სასამართლომ განათავისუფლა ისინი.

ამის გამო მთელი ზემო-იმერეთის მცხოვრებნი ქრისტიანენი გულ-მღელვარეთ შეიქნენ ურიებზედ; ამბობენ: „ფულზე ყოფილა საქმე და აწ ჩვენ ვიცით, რასაც უზამთ ურიებსო!“

მართლაც აღასრულეს თავისი სიტყვა: სადაც შეხვდებიან ურიებს, არ ზოგავენ; ხვდებიან გზაში, როდესაც კაცი არავინ მიდი-მოდის, სცემენ, სჩეხენ, ფული თუ რამე ექნათ, ართმევენ. მოვიყვან აქ ერთს მაგალითს: ოც-და-ორს აპრილს ოთხი ოკნელი ურია საჩხერიდანმოდიოდნენ ოკნში. როდესაც გადმოუდგნენ შქერის მთას, შეხვდნენ წინ ოთხი საჩხერელი გლეხი და ერთი აზნაური და უთხრეს ურიებს: „თქვენ, ქრისტიანის მწვალებელნო, რათ დადიხართ სოფელში? ეიდევ გინდათ, რომ აწვალოთ ვინმე?“ ურიები ამ თქმაზედ შეშინდნენ და ერთმა მათგანმა მიუგო: „ვიცით, რასაც გვიპირობთ; მაგრამ რას გვერჩით, ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩვენ იმაში არასფერი მონაწილეობა გექონდეს! თუ რამე გვაქვს, მიირთვით და ჩვენ ნურას გვერჩით!“ ქრისტიანებმა უთხრეს: „არც თქვენ დაიზარებთ მისთანა საქმეს, თუ სადმე მოახერხეთო და ამისთვის მათ მაგიერს სასჯელს თქვენ მოგაყენებთო.“

ჯერ ფული წაართვეს, თუ რამე ქონდათ, მერე ჯოხით სცემეს, იმდენი ურტყეს, რომ თავ-პირი დაუსისხლიანეს, ფართალი ხანჯლებით დაუჭრეს და წყალში გადუყარეს; ცხენებიც დაუხოცეს. თვითონ ურიები გაუშვეს ცოცხალ-კვდარი. მივიდნენ ოკნში გაფცქვნილი და გაგლეჯილი, ვერც განაცხადეს საჩივარი, რადგან არ ყავდათ მოწმე და ვერც იცნობდნენ თვითონ იმათ, ვინც იმათ ეს საქმე მიაყენა და ამნაირად დამნაშავეებს შერჩათ.

ერთის სიტყვით ზემო-იმერეთში და რაჭაში ურია ოფლათ ვერ დადის საეკროთ ქრისტიანების შიშით და თუ უძაღლესმა მთავრობამ განკარგულება არ მოახდინა ამ საქმეზედ, ურიების საქმე ცეცხლში არის ჩავარდნილი..

ამისთანა ამბავი ხდება ზემო-იმერეთში და რაჭაში ერთობ ხშირათ, კვირეში ორ-სამს გლეჯენ და სჩეხენ ურიებს.

მ. ბ. ჯვარისუბნელი,

განცხადებანი

პატივი გვაქვს გამოუცხადოთ უფ. ხონისა და აგრეთვე ოზურგეთის მოვაჭრეებს: ივნისიდან თფილისში ჩაბარებული ქარვასლებიდან ყოველივე ხორაგი საქონელი გაიგზავნება თავიანთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით—რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კაპეიკი და ოზურგეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალდებული ეხდებით, პირობისამებრ, მოვძღოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ქანტორა იმყოფება: პირველი—თფილისში (ორყმაზის ქარვასლა № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე გილდი.

ბარსეევან იაგ. რატიანი.

(4—4)

გამგებელი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შესაწევნელად შეუძლებელთა მოსწავლეთათვის ამით აცხადებს, რომ არძების შემოტანა ბავშვების მიღებაზედ შკოლაში ამ წლის სეპტემბრიდგან შეიძლება ივნისის ათიდგან აგვისტოს ოც-და-ხუთამდე. არძასთან საჭიროა იყოს წარმოდგენილი ნათლობის მოწმობა ან კანტორის, ან ადგილობრივი მღვდლისა. არძებს მიიღებს ვიცე-პრედსედატელი გამგებელი კომიტეტისა თავ. დავით ივანეს ძე ავალიშვილი თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ბანკში და შკოლის მასწავლებელი უ. ეფიანი თვით შკოლის სადგომში, რომელიც იმყოფება ქუკიაში, აგურის ქუჩაზე, თაქთაქიშვილის სახლებში. (6—4)

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქურო:ვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაევრდოვის ბაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ.

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავ. . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ ღღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისს და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	3
დაბ ბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 22 ივნისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	20
შქვ. წითელი . .	1	70
ქერი ფუთი . . .	1	50
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	20
—ამერიკისა, ფუთს .	9	50
ბაენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თრაქამისა ფუთი .	4	30
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	40
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	72
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვოდკა . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	10
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11	80
თაბაშირი საშუალო ფუთ.	6	50

თფილისის სამკურნალო

ერევ. მოდან. წინამძღვარ.სახლში. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალეევი—შინიგ.ავათმყ.ექიმები.

სამშაბათს: ფერმიშევი და ბ.ბროკი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალი, ურავლევი—კანისა და ვენერიელოს, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოხშაბათი: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ფერმიშევი—შინაგ ავათმყ. და ურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს: იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ფერმიშევი. რეიხი და ურავ.

ობრეხტი—კბი. ექ. მიიღებს შინ ღარიბეს მუქთად.

დოქტ.ბაბაევი ოთხშ. დილის 8ს. 10 მიიღ. ღარიბ ავათმყ. ფავის სახლში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюня 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.